საქართველოს პარლამენტის ბიუროს
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

№102/30

2013 წელი, 24 სექტემბერი

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 163-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის ბიურო ადგენს:

1.საქართველოს პარლამენტის წევრის დავით ონოფრიშვილის წინადადების საფუძველზე, საქართველოს პარლამენტის წევრის დავით ონოფრიშვილის მიერ საკანონმდებლო ინიციატივით წარმოდგენილი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ", „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ" და „დაზღვევის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ" (N07-3/239, 19.09.2013) საქართველოს კანონის პროექტები განხილულ იქნეს დაჩქარებული წესით.

2.„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ",„სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ" და „დაზღვევის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ" საქართველოს კანონის პროექტები პარლამენტის სხდომის ერთ დღეს განხილულ იქნეს ორი - მეორე და მესამე - მოსმენით.

3.საქართველოს პარლამენტის კომიტეტებმა, საპარლამენტო ფრაქციებმა, საპარლამენტო უმრავლესობამ, საპარლამენტო უმცირესობამ, პარლამენტის აპარატის იურიდიულმა დეპარტამენტმა, საქართველოს მთავრობამ თავიანთი შენიშვნები და წინადადებები წარუდგინონ საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ",„სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ" და „დაზღვევის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ" საქართველოს კანონის პროექტების განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ საქართველოს პარლამენტის ბიუროს 2013 წლის 24 სექტემბრის №102/3 გადაწყვეტილებით განსაზღვრულ ვადებში.

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარის პირველი მოადგილე,
ბიუროს სხდომის თავმჯდომარე — მანანა კობახიძე